

# გაზეთი

1  
1989



ნახ. ჯ. ლომიანი




რა ლამაზად ჩამომდგარა ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა!  
გარდაქმნასაც შევეგუეთ — ბევრის შმაგი ვნება დაცხრა!  
ვენაცვალე, ვინც ამქვეყნად მოიგონა ეს გარდაქმნა:  
მისგან არის, რომ ელისა ყველა ღირსეულ მუბლს დაფნა!  
მეფეთ მეფე — დიდი დავით — სწორედ ამ გზით შემობრძანდა —  
შემოიჭრა, შემოვიდა, შემომზევედა, შემობრძენდა —  
მოყვრისათვის სასიკეთოდ, მტრისთვის მუსრის გასაფლვად,  
მეფე — მტკვარში სისხლიანი თორ-აბჯარის გასაფლვად!..  
რაღა გითხრათ გარეჯზე და რაღა გითხრათ პოლიგონზე!  
მომილოცავს! — როგორც იქნა, ძლივს მოეგო ხალხი გონზე!  
კარგად უკრავს საქართველო (იხ. ლიანა ისაკაძე)!  
კარგად მღერის საქართველო (იხ. პაატა ბურჭულაძე)!  
კარგად ცეკვავს საქართველო (იხ. ნ. ანანიაშვილი)!  
კარგად შრომობს საქართველო — მისი ხალხი დალოცვილი!  
კლანდობავ, საქართველოს ბედნიერად უთენდები!  
დაილოცონ ამ მიწისთვის შემართული სტუდენტები!  
დაილოცონ, მამობრივი ვინც მათ წარუწვა გაუწია!  
მხოლოდ მას მოუხვეჭია, ვისაც მეტი გაუტია!..  
მენახოთ სიცილისაგან გადაფიჩინებულები!  
სამეურნეო ანგარიშს ჰყოფნოდეს თქვენი ფულები!  
გამომძალველო, მეჭრთამევე, ქორვაპარო და თაღლითო,  
თუ გსურთ, რომ მეტი იშოვოთ, ჯობს, ერთმანეთი დადლიტო!  
თქვენც, კოლუბარტორებო, თავი რომ მოგწონთ დახლითო,  
თუ გინდათ ბლომად იშოვოთ, ჯობს ერთმანეთი დადლიტო!  
თვით პატარძლის დაკრეფილსაც — მწვანის არ ვკვამი იციო,  
რატომ?

წინაპრი მენატრება, უშხამო და უნიტრატო!  
შხამ-სამსალით გვამარაგებს ბოლნისი და მარნეული!  
ამ წელს მაინც ნუ დაგვწამლავს მწვანილი და მწვანეული!  
ხუთას კაცში აგირჩიეთ! სხვა რა გვექნა, ძმაო მუხრანს!  
გადამტვრევა შეიძლება შენი, ოღონდ — არა მოხრა!  
ქიც იცის და ქიცმატურიც, კიდევე ბევრი რამე იცის, —  
მხარში მიტომ დაგიყენეთ ძალა გურამ ფანჯიკიძის!  
თუ მწერალთა კავშირს ვინმე გადაიყვანს იჯარაზე,  
ალბათ ისევე — ბერულავა ალბათ ისევე — წიფარაძე!  
ბევრი ვინმე გამოეყო ცოლ-შვილს ეკონომიკურად —  
მოსწონთ თვითდაფინანსება — იქცევიან ღიატურად!  
სულაც არ გავიხსენებდი მე ამ სამარცხვინო სურათს,  
მაგრამ მინდა ჭაბუკებმა ეს ამბავიც იღონ ყურად!  
ძლივს ავყარეთ ლიანდაგი — „მველი“, ტრანსკავკასიური!  
მის იდეას, დახვეწებულს, დღეს შემორჩა კაცი ორი!  
ბევრი რამე გავასწორეთ! ბევრსაც გავასწორებთ აწი!  
ქალი უნდა ვახდეს ქალი! კაცი უნდა ვახდეს კაცი!  
ამას ყველას ვეუბნებით, არ ვაპირებთ გართულებას:  
ქართულ ენას ვინც არ სწავლობს, პატავს არ სცემს ქართულ ენას!  
არ სჭირდება ამას ხარჯი, შეისწავლით ენას თვითონ,  
ოღონდ უფრო კარგად უფადეთ საქართველოს — რეპეტიტორს!  
ვისაც დანახვა არ უყვარს, იმ კაცმა ბევრიც რომ მალოს,  
როგორ დამალავს შატლს და როგორ დამალავს ომდოს!  
დიდ ახალმოსახლეობას დმანისში იხდის ჭუბერი!  
იმ ჭუბერიდან ამ ჭუბერს სტუმრად სწევია ღრუბელი!  
ბევრი გაერთიანება გაჩნდა, მაგრამ სხვებზე უფრო  
მე მხარს ვუჭერ ეროვნულ ფრონტს! დიას, დიას, ეროვნულ  
ფრონტს!

მჯერა, მისი ხალხგარძელო ამღამ ყველგან დაიღვია!  
მისი საქმე, საწარუნავი არახოდეს დაიღვია!..  
რა ლამაზად ჩამომდგარა ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა!  
როგორ გვიყვარს ერთმანეთი! როგორ თბილა! როგორ დაცხა!  
გამოაღეთ კარ-ფანჯრები! გაიგონონ, როგორ ემღერათ!  
გაიხაროს საქართველოში შინ და გარეთ — მოკვდეს მტერი!

უჭირს ღიმილს, როცა ხედავს მოძმის ტანჯვას და სიმძიმოს!  
მარტო ერთი გაფიქრებაც წამს შეგაშრობს ტუჩზე ღიმილს!..  
შაოხისთვის, როგორც ძმისთვის, გული სტკივა მის ძმას —  
ამ წელს მაინც გაუმარჯვდეს! ამ წელს მაინც გაუმართლოს!..

საბოლოო პოსტსკრიპტუმი  
ელდარ შენგელაიას რომ მივეულოცე სამოცი წლის  
იუბილე, — კაცი თურმე ვერ იკავებს დღემდე სიცილს, —  
ათასი დღით დამისწრია!.. რალას ვიზამ?.. მოხდა!.. ხდება!..  
მილოცვილად ჩაითვალოს, სამოცი წლის რომ გახდებამ!



# საახალწლო დიალოგები



წამყვანი  
ქრონიკალი  
ბიბლიოთეკა

50 წლის გამომცემლობა „ნაკადულს“



## რესტორნის დირექტორი:

— ამხანაგებო! ახალ, 1989 წელს ჩვენი რესტორანი დიდი წარმატებით ხვდება. ასე მაგალითად, მეორე კერძები იანვრის მეორე დეკადაში ორჯერ უფრო მეტი გავყვით, ვიდრე შეგვეძლო, კომპოტები კი — სამჯერ მეტი, ვიდრე მოვხარშეთ. შემდეგ: მიმდინარე კვარტალში ჩვენ ძირითადად იმ სასურსათო პროდუქტებს ვიყენებთ, რომლებიც შარშანდელი წლის ბოლო კვარტალში დავზოგეთ. მიმდინარე კვარტალში დაზოგილი პროდუქტებისაგან გაკეთებულ კერძებს კი მომდინარე კვარტალში მივართმევთ ჩვენს კლიენტებს!

მომსახურების დონეს რაც შეეხება, ჩვენ იგი ზღვის დონემდე აწვინეთ და უკვე გავუსწარით ისეთ განვითარებულ საზღვარგარეთულ ქვეყნებს, როგორცაა ანბანია, განდონია, დონენია, ენვინია და სხვ.

მივალნიეთ უალკოჰოლო სასმელების ფასდაკლებასაც. ასე მაგალითად: ერთი ჭიქა კოქტეილი „ჩვენური“, რომელიც ძირითადად წყალწყალა და შაქარყინულაა, მხოლოდ ორმანეთ-ნახევარი ლირს.

არ ვივინწყებთ იდეოლოგიურ მუშაობასაც. რესტორანში მოვიწვიეთ უშტატო ლექტორი, რომელმაც, სამუშაო საათებში, რასაკვირველია, წაიკითხა ლექცია თემაზე — „უშრომელი შემოსავალი შეუთავსებელია სოციალიზმთან“. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: უფროსმა ოფიციატმა თბილისში აშენებული ორი ფეშენებელური სახლიდან ერთი უსასყიდლოდ, რასაკვირველია, გადასცა საბავშვო ბაგას, ხოლო შვეიცარმა სახელმწიფოს ნებაყოფლობით ჩააბარა ორი შემნახველი სალაროს ნიგნაკი და ერთი მსუბუქი ავტომობილი (სიდედრის სახელზე გაფორმებული). უახლოეს დღეებში მოვიწვიეთ შტატიან ლექტორსაც. ლექციის თემა ჯერ არ შეგვითანხმებია. კულტმასობრივი სექტორის ხაზით მოვანწყობთ კოლექტიურ სვლას კინოში „მონანიებაზე“!

გვაქვს ნაკლოვანებებიც, რომლებზეც გამოსწორებამდე უსათუოდ გესაუბრებით ნაახალწლევს!..

## ტელედიტორი:

— ძვირფასო მეგობრებო! ახალი, 1989 წლის იანვრის მეორე ნახევრიდან ვინწყებთ ახალი საზღვარგარეთული მრავალსერიანი მხატვრული ფილმის „თორმეტგოჯას“ ჩვენებას. იგი შედგება ექვსი სერიისა, ათი მკვლელობისა და ოცდაათი ცხედრისაგან!..

## სინოპტიკოსი:

— გუშინ თბილისში თოვდა. ქროდა ჩრდილო-დასავლეთის სუსტი ქარი. ტემპერატურა იყო 4-6 გრადუსი სითბო. ხვალინდელი ამინდის შესახებ ზეგ გესაუბრებით!..

## იაპონიური მიომოსილვალი:

— დღეს მოგითხრობთ ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ.

იაპონიაში ნებისმიერი წუნი ეროვნულ უბედურებად მიაჩნიათ. რას ჰქვია რაიმე პროდუქცია, როცა რაიმე საქმის უხარისხოდ კეთებაც კი დიდ სირცხვილად ითვლება! აი, ასეთმა მიდგომამ იაპონიაში ხარისხი უკვე აიყვანა კვადრატში, კუბში და ა. შ.

იაპონიამ აგერ ჩვენი მეგობარი უნგრეთი გამახსენა. იქ ხომ დიდი ხანია მეურნეობის ყველა სფერო მოიცვა ეროვნულმა მოძრაობამ დევიზით: „იმუშავე სწრაფად, იაფად და მაღალხარისხოვნად!“

ხარისხის მერცხალი საქართველოში ვერც იაპონიიდან მოფრინდება და ვერც უნგრეთიდან — ჩვენ თვითონ უნდა ავაფრინოთ!

ჩაიწერა თამაზ ეზანოიძე



ნახევარ საუკუნისას  
მე ვესალმები „ნაკადულს“ —  
ნაცარქექიას, წიქარას,  
შვლის ნუქრს, ლომს, წეროს, კაკადუსს!..  
ხარობდეს ჩვენი ქვეყანა.  
მაგ წმინდა წყაროს დინებით!  
ხარობდენ ცეროდენები,  
ხარობდენ ნეკოდენები!  
ზოგ რამეს, ჩვენ რომ ვერ მივხვდით,  
ჩვენი შვილები გვიხსნიან!  
საბოლოოდაც, როგორც ჩანს,  
ჩვენი შვილები გვიხსნიან!  
შენც სწორედ შვილებისათვის  
აცხვე პურივით წიგნები!  
ათასი წლისაც შესრულდე —  
ასე ყმაწვილი იქნები!  
თუ ვინმეს ცოდნა სწყურია,  
თუ ვინმეს ცოდნა შიაო, —  
ჰა, მაგათ ვაჟა, ილია,  
აკაკი, ძია შიოო!..  
მაღალმა ღმერთმა გახაროთ  
ქართული წიგნის მონები! —  
... გიღვწიან, მოგიგონებენ,  
დაგლოცვენ, მოეგონებით!..

შენი თაყვანისმცემელი „ნიანგი“

# ძველი ქართული წიგნები

- ზომით მარხვაი არა თუ სულსა განადიერებს, არამედ ზორცთაცა ზომიერსა სიმრთელესა მოანიჭებს.
- სულისა და უნჯებაი (ხამს), სხეულისა — ნაკლულევა-ნებაი, რამეთუ, სხეული რაი მდიდრობდეს, სული გალახა-იქმნების.
- რაჟამს განლანებოდეს სხეული, მაშინ წულილისა საზრდელისა ხუმევაი საჭირო არს.
- ნუსწურთი ბერსა უძღვება, რამეთუ ძუელისა ხისა გარდარგვაი შეუძლებელ არს!
- სიტყუის სიმამლრე მბრძოლ სასმენელთა, ვითარ გარდა-მეტებული საზრდელი მბრძოლ სხეულთა.
- მძულს ნაყროვანება, ვითარ სულისა მზრუნელი!
- ძალსს შიემსგავსების გემოვნებაი: უჭუეთუ სღევ-ნიღვი, ივლტის და, უჭუეთუ ზარღო, დადგრების!
- ღღესა შინა მამდრობისასა მოიხსენე ღღვი სიყმილისაცა!
- უმჯობეს უნდოდ ცხოვრებაი, ვიდრე შუებაი, რამეთუ შუებაი არს ვნებათა მსახური.
- უმჯობეს სახელი კეთილი, ჭფროსის სიმდიდრისა ფრი-ადისა.
- მუცელი საზომსა მიმღებელი ნანდვილ-სადმე განმეფნეს ვნებათა ზედა.
- ვითარცა კუამლი გინა აჩრდილისა ზედვაი არს დიდებაი. ძლიერებაი და სიმდიდრეი კაცთაი, რამეთუ უამისა მიერ მოცემულთა უამივე დაჰხსნის.
- ზუაობა და ამპარტავნება ხენი არს ბუგრისაი უკუნისამდე მტანჯველი!
- ცალიერტა თხიერთა სული გაჰბერავს, ხოლო უგულურთა ამპარტავანთა — ზუაობა.
- ზუაობის წარმატებაი მოკლები არს წარმართებისა და უფროისა სრულიად დაქცევა სულისა.
- დაღატათუ ვიდრე ღრუბელთადმდე აღიღო წარბი შენი, ყოველივე იგი სიკუდილმან ქიფ დაამდაბლოს!
- მღაბალი და დამთმოი იგი არს, რომელსა ავისა ქმნა შე-ედლოს კაცსა ზედა და არა ქმნას.
- მლიქვნელი ამით სჯობს ყორანსა, რამეთუ ესე მრთელსა სჯამს, ხოლო იგი მკუდარსა.
- ძირი ყოველთა ბოროტთაი — ვეცხლის-მოყუარებაი და ესრეთცა ეწოდების, რამეთუ სიძულილი, პარვობანი, კაცის კლვანი, შფოთნი, მტრობანი, ძვირის-ხსენებანი, უწყალოებანი და შურნი მან ქმნას.
- ძრთამი და ნიჭი (-საჩუქარი) დააბრმობს თულთა ბრძენ-თასა.
- შვილო, ქრთამი თულთა კაცისათა გაამპარტავნებს და თულთა ბჭეთასა დაამუშობს!

- ოპრო, ბოროტთა მთავრო და მქონებელთა შენისათ-ვისცა შიშო და არ-მქონებელისა მწუხარებაო!
- მრავალს ცთომილებასა მოატყვებს სულსა ნივთი-ერთა საქმეთა ზრუნვაი და მოურვეობაი.
- თიხს ვართ ყოველნი კაცი და ტყავნი მსგავსნი გუქონან, ამოდ ვლადოით საწყალობელნი სიმდიდრესა და დიდებასა და მა-მულთა დიდთა ზედა.
- ევლტოდე გემოვნებათა და მოსაგებელთა, რომელნი მორთუმიდენ სულსა შენსა ვნებათა და სატანჯველთა!
- შესმენათა ცრუთა ნუ ყურად იხუამ, ვიდრე მართალი სცნა და ესრეთ ჰბჭო, ნუუკუე გაქმნიოს ბოროტი რაიმე კაცმან უღმრთომანი!
- დემოსთინ კითხულმან — „რაი არს შემასმენელი?“, — თქუა: „ღღი-ღღვი მპარავი“.
- შესმენათა ნუ ირწმუნებ, ნუცა ურწმუნობ, გარნა გამო-მეძიებელი!
- ცილის-მვამებელი და მტყუარნი და მტაცებელნი და ბოროტის მოქმედნი მგელნი არიან ქალაქისა და სოფლისათვის.
- შური შეჭირვებაი არს ცული.
- შური და ტყუვილი და ორპირობაი თავი არს ყოველისა უბედობისა.
- შური წყლულეობაი არს ჭეშმარიტებისა.
- დიდი ვნებაი და წარწყმედაი სულისა არს ნებაი შური-საი: რაი ჩაიჭრას ტანსა, თავშეუქციველად შეიქმს და არცა ხელი მისი კარგისა მოქმედი იქმნების.
- შური ტანსა დასნეულებს, ძალსა მიუღებს, საქამადი არა მოსდნების, ბუნებასა განრყუნის, შეზავებულებასა დაუშლის და ვაი მას, ვინცა მოშურნე იყოს!
- მოშურნე ნუ იქნები: როგორადცა შენ გინდა, ისრე სხვა-საცა უნდა!
- ესე ოთხნი ვერ განძღვებიან: ზღვა წყლითა, ცეცხლი შე-შითა, ანგარი ხუასტაგითა, მსიძვი სიძვითა.
- უმჯობეს არს ყორანთა შუა შთავრლომა, ვიდრე მლიქ-ვენელთა ტრფიალება.
- ინადირებან ძალითა ყურდღელთა მონადირენი, ხო-ლო ლიქნითა და ტყუვილის ქებითა — უგუნურთა მლიქვენენი.
- კაცი მაქებელი პირსა მოციქული არს ეშმაკისა, წინამ-ძღუარი ამპარტავანებისა, უჩინო-ყოფელი ღმობიერებისა, წარმ-წყმედელი კეთილთაი, მაცთური გზისაი.
- მხიარულმბაი ჭერ-არს მხილებათა ზედა უფროის, ვიდ-რეღა ლიქნათა, რამეთუ იგინი შემაწუნებელნი ჩუენნი განგუაფრ-თხობენ, ხოლო ლიქნანი მცონარე გუყოფენ და შეჭუიბრკულენ!
- შიში ლიქნასა იქს, ხოლო სიყუარულსა ვერ მოიგებს.

ამოკრება ალექსი ზინჭარაულმა

# რბ არის გაუგებარი?

## იუმორისტა

- გაწუხებთ რამე?
- წელი..
- რომელი, ძველი თუ ახალი?
- ეს..
- მიზეზი?
- ფეხები!..
- ფეხებიც გაწუხებთ?
- მე არა, წელს აწუხებენ!..
- ვერაფერი გამოიგია!
- რა არის გაუგებარი? ოცდაათი წელია, წლებზე ფეხებს ვიღვამ, ვეღარ გაუძლო და ამტკივდა!..
- კიდევ რა გაწუხებთ?
- კისერი!..
- კისერზეც იღვამთ ფეხებს?!
- არა, მასხედან!..
- ვინ?
- შვილები!..
- პატარები გყავთ?
- ელთი ოცდახუთისაა, მეოლე ოცდაცხრის!..
- ეე, ჩემო ძმაო, აბა, მე რაღა ვთქვა, ერთი ცინგლიანი ბიჭი მყავს და ლამის ყურები ჩამომავლიჯოს!..
- მიზეზი?
- კისერი!..
- ვერაფერი გამოიგია!
- რა არის გაუგებარი? კისრიდან რომ არ ჩამოვარდეს, ყურებს ებლაუქება!..


თამაზ კასრაძე

# „გარდაქმნილი“

რაც ვიყავი შარშან იქ მე, ის აქ არ ვარ — გარდავიქმენი! იმ ადგილზე მხოლოდ ლაქლახს ვუნდებოდი, თანაც ახლა მივხვდი, რადგან ჩემი ნებით და ჩემივე განცხადებით ამ ადგილზე გადმოვბრძანდი, სულ გამოქრა შიში, დარდი, ავმოქმედდი, ავმოძრავდი!.. აქ საქმე მაქვს, ვშრომობ, რა ვქნა, შრომას ჰქვია დღეს გარდაქმნა!.. ისე გარდავიქმენ უკვე, რომ არ მახსოვს კვირა-უქმეც! ყველა ჩემზე მიუთითებს ზარმაცსა და გარდაუქმნელს! დავაგიჟე კოლეგები, შინ ცოლ-შვილიც ველარა მცნობს!.. უქმად წუთით ვერ ვჩერდები, იატაკს ვწმენდ, ვრეცხავ, ვაცხობ!.. დაიქანცნენ ჩემი ქებით: „ეეს შენა ხარ?!“ „ყოჩაღ, კაცო!“ სარკის წინ რომ ვდგები, იცით, მე რომ მე ვარ, აღარ მჭერა!.. ამ ბოლო დროს სიდედრიც კი აღარ მიბღვერს აღმაცერად.

ბივი ზინინაძე


# ქალოგიჟები



- **აქვს** უთვალავი საუნჯე — სალაპარაკო მასალა, მწიკვ თაფლს წაიცხებს ენაზე, ბევრს გამოურევს სამსალას!..
- **305** შეახსენოს წარსული კვამოკლეს და თმაგრძელსა, ვინ გაუბედოს პწკენანი თმაშეკრევილსა, მხარგრძელსა?!
- **ძმარს** ჯერ წაჰგვარა ჩექმანი, სირჩა, სიგარა, ფარაჯა, მერე კაც ისე დაამცრო, მიწის ზემოდან არა ჩანს!..
- **ინება** კაცის სწორობა, მერე — მეტობა, დევობა, აწ შინ და გარეთ იჩემებს უფროსის თანამდებობას!..
- **ხვალაოხვალაულ** ზორზოხასს, ნომენკლატურულ ამორძალს, ვერა, ჯინს ველარ შეადრი — ბოთლის ყელიდან ამომძვრალს!..
- **წარს** ტრაქტატს, კეკუს ჩემულობს, შუშხავს შამპოს და კონოსა, არც ძე ჰყავს, არცა ასული, რომ გულში ჩაიკონოსას!..
- **უნდოდან**, ვერც შეერევა ამაგდარ დედათ მარაქას, რომც ჰყავდეს, ჩვილი ყრმისათვის არც რძე, არც კალთა არა აქვს!..
- **მდიდარი** გარდერობი აქვს, ბუმბულის ბალიშ-საბანი, მუხლებს ვერსაით უფარავს პერანგნი, მინი-კაბანი!..
- **აქვს** რესტორანი, სამწვადე, თუ მოსწყურდება, მოშივა, — შინ როცა უნდა დაბრუნდეს, — ალერსით ხვდება გოშია!..

ელგუჯა მერაბიშვილი

ნახ. ი. ყინინაშვილისა



უსიტყვოდ



**თავის ბავშვობის** წვერის თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო კლუბის კლუბთან არსებული ლაბორატორიაში, რომელიც მე ვხედავდი. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა აინჟინერული კარბონის. ამჟამად მუშაობს კოვჩუნი-მშენებლის სამსახურად. მისი ნაწილი წლის წინ რომ შექმნილია წინა წვერის ნაწილი-მოხატვის არსებულ კამერა (კამერა ციკლენ), მასში თავის

ლექსებზე დასტავდა. ამ ბოლო დროს მან კალამი სცადა სატრიალ-ფორმირებულ ვანშიც და, შედეგად, რომ არცთუ ურთი. მე პირადად მოხერხე მისი ნაწილობების შემდეგი, გარდაქმნის სულისკეთების გზით ფორაღობა, რაც "ნაწილი" მეთხვედს არ დარჩება შენგვედელი.

## დაბიჯები

### თავის ბავშვობის

#### თავის ბავშვობის

გარდაქმნის მრავალ არსიდან ერთ-ერთი არის ეს არი: ვარდ ვერ მოვიპო ვერაფრით, თუ ნათესი გავქვს კვლით!

გარდაქმნის მრავალ არსიდან ერთ-ერთი არის ეს არი: სიტყვით მტკვარი მამრისაგან, მამრისაგან სავითი მტკვარი!

გარდაქმნის მრავალ არსიდან ესაა არის მთავარი: უნდა ვაქციოთ ვეფხის ბავდალ სამშობლის შთა-ბარის



#### ბავშვობის

არ უნახავს თხიხი, პარი, კალათი და გოღოღი, სხვისი მოწვევის მამასისხლად თილის გადამყოფელი!

#### ბავშვის ნუ სხავი

ამდგენ ნუ სხავი, ჩემი ღვაპი,



— ჩამ ვაკვირავთ! შე ჩემი მოგვდი მო-სამშაღებელს!

#### არ ხავს არვის

ბავშვად ღვაპი, რადგან ვეგნა ივის ღვაპი, რადგან ვუღვაპი ივის ღვაპი, არ შემოვდიხს თუკი "ღვაპი!"

#### ...და ბიჭობისა ვინგავლობდი

კაცი გავბრი, ისე ძვირი დამოხვია "ცოცხალი". უკრით ვინგე კანახავა ამათი დამოცხვავი!

ოღვადად შევიტრით ერთი კლი ბნახელი, ვიკრისებე და ჩემს სტუმრებზე მივათავი "სისარულით".



"შენ ჭამავი რა დაგვიდე?" — არ კითხვობს მოვადრე... რომ ნაფიფენი, დაფიფენი და სურვილი ჩამოვადრე.

"ნამგებანი ვიცი!" — ჩემსავი ორულთან ვდავობდი და თითოვც ვინგვედობდი ჩემი საყოფაობით!

#### სახვამდობის

მეორის, იდეალად რომ იკრებს ტრიალებს, მხელად დასაპირებს, კანახავი რომ არ არის, ახალ მარცხე კანახავის!

რისი გავგებუც არ უნდა, არც არსებულს არ იგებდა; გარდაქმნილი მოღვაჯე გარდაქმნილს ქუთის არიგებეს!

#### სახვამდობის

ქრობი ტაქსისის მძღობლის მგზავრითა ტვაკების მადგის ისე იმბა, წველადმითი ტაქსის მძღობლები ანგელბოხებად ჩანან იმითაში.

სისარული არ აქვით!... მრისებვლად თუ არ ცვათი თვისივე პატროსნება, დასტურ ოცნებად მარტება უცებ გამდღირებაზე მათი ოცნება!



#### სათორღე

სათორღე არ ვაკვირებს ასეთ მძღობლებს მუშტარკი მალე, ნამსთანგებს ვინ შეუბნებდენ ვიკაცხელ მხოლოდ სინდისზე მწყურვლებს!

#### სათორღე

ამ ქვეყანაზე გარჯის დასად რაც არ მოიკლავ, გადამცევი სათორღებს მძიმე ბოიკოდა!

ვიხავ არ მოხონოს ფუტკარითი მშრომელი მომე, იმ კაცს, რამდენად ახიტირებს, ცრმებს არიენ მოსმენებს!

სიყვარულის ნილ — სიყვარული, შრომის ნილ — ხვავი, მცონარობის ნილ — შეტყვენება, სულის მსუსხვავი!

უნდა ვგახსოვდეს გარჯის დასად რაც არ მოიკლავ, გადამცევი სინდისზე მძიმე ბოიკოდა!

თუ სისარული მოხდა და გახვდა, უშლად გერთვება სხვად. და არის მალუს შერი ანგერი წერულიბა ზღობს!

მერე სისარული "აღვლებში" — შენ ირგად მამრე, შენ მინაწე აქვდეს!

და სიყვარულის ოხვება.



#### მავალინად გავხდები

დასის ატკობისით მგზავრება გმირობა არის, დილე ვანჩიროლი ახვად ირგად ჩამოხვდა იწვადილი.

#### მავალინად გავხდები

განსაკუთრებით სადამის არის წინა და უკლადი, გაგიტრება, რომც იგი კაცი, მძღობელი მძღობელი

ამიტომ ვეხით დაავიჯი, (კარგია, ცოცხა გავხდეს!) და ასე თანდათანობით მართალილი გავხდები!

#### მავალინად გავხდები

ვვლენ მობვებრი, ოლინი იქ არა, სადაც მობვებრა გსურა, ალასი მავალინად გათხოვს ბალა და არ უკვებე ყურს!

მობვებრი ვვლენ (თუ "ფურცლები" შერი არივის შერს), მოხვებრი თავად საბოიბოვია, იქ არა, სადაც გსურს!

თუ სისარული მოხდა და გახვდა, უშლად გერთვება სხვად. და არის მალუს შერი ანგერი წერულიბა ზღობს!

მერე სისარული "აღვლებში" — შენ ირგად მამრე, შენ მინაწე აქვდეს!



#### მავალინად გავხდები

დასის ატკობისით მგზავრება გმირობა არის, დილე ვანჩიროლი ახვად ირგად ჩამოხვდა იწვადილი.

#### მავალინად გავხდები

განსაკუთრებით სადამის არის წინა და უკლადი, გაგიტრება, რომც იგი კაცი, მძღობელი მძღობელი

ამიტომ ვეხით დაავიჯი, (კარგია, ცოცხა გავხდეს!) და ასე თანდათანობით მართალილი გავხდები!

#### მავალინად გავხდები

ვვლენ მობვებრი, ოლინი იქ არა, სადაც მობვებრა გსურა, ალასი მავალინად გათხოვს ბალა და არ უკვებე ყურს!

მობვებრი ვვლენ (თუ "ფურცლები" შერი არივის შერს), მოხვებრი თავად საბოიბოვია, იქ არა, სადაც გსურს!

თუ სისარული მოხდა და გახვდა, უშლად გერთვება სხვად. და არის მალუს შერი ანგერი წერულიბა ზღობს!

მერე სისარული "აღვლებში" — შენ ირგად მამრე, შენ მინაწე აქვდეს!



#### მავალინად გავხდები

დასის ატკობისით მგზავრება გმირობა არის, დილე ვანჩიროლი ახვად ირგად ჩამოხვდა იწვადილი.

#### მავალინად გავხდები

განსაკუთრებით სადამის არის წინა და უკლადი, გაგიტრება, რომც იგი კაცი, მძღობელი მძღობელი

ამიტომ ვეხით დაავიჯი, (კარგია, ცოცხა გავხდეს!) და ასე თანდათანობით მართალილი გავხდები!

#### მავალინად გავხდები

ვვლენ მობვებრი, ოლინი იქ არა, სადაც მობვებრა გსურა, ალასი მავალინად გათხოვს ბალა და არ უკვებე ყურს!

მობვებრი ვვლენ (თუ "ფურცლები" შერი არივის შერს), მოხვებრი თავად საბოიბოვია, იქ არა, სადაც გსურს!

თუ სისარული მოხდა და გახვდა, უშლად გერთვება სხვად. და არის მალუს შერი ანგერი წერულიბა ზღობს!

მერე სისარული "აღვლებში" — შენ ირგად მამრე, შენ მინაწე აქვდეს!



#### მავალინად გავხდები

დასის ატკობისით მგზავრება გმირობა არის, დილე ვანჩიროლი ახვად ირგად ჩამოხვდა იწვადილი.

#### მავალინად გავხდები

განსაკუთრებით სადამის არის წინა და უკლადი, გაგიტრება, რომც იგი კაცი, მძღობელი მძღობელი

ამიტომ ვეხით დაავიჯი, (კარგია, ცოცხა გავხდეს!) და ასე თანდათანობით მართალილი გავხდები!

#### მავალინად გავხდები

ვვლენ მობვებრი, ოლინი იქ არა, სადაც მობვებრა გსურა, ალასი მავალინად გათხოვს ბალა და არ უკვებე ყურს!

მობვებრი ვვლენ (თუ "ფურცლები" შერი არივის შერს), მოხვებრი თავად საბოიბოვია, იქ არა, სადაც გსურს!

თუ სისარული მოხდა და გახვდა, უშლად გერთვება სხვად. და არის მალუს შერი ანგერი წერულიბა ზღობს!

მერე სისარული "აღვლებში" — შენ ირგად მამრე, შენ მინაწე აქვდეს!





# ჩვეულებრივი

## აქცია

### სურათი პირველი

ერთ-ერთი ჩვეულებრივი სოფლის ჩვეულებრივი ეზო დასავლეთ საქართველოს ჩვეულებრივ რაიონში. სახლს უკან — ბრეზენით გადახურული ჩვეულებრივი სეფა (ე. ი. 500-კაციანი მაინც). სახლის წინ, თალარქვეშ — შავი არშიებითა და თეთრი, დასანთლული ხელოვნური ყვავილებით მორთულ-მოკაზმული ჩვეულებრივი ფანჩატური. ცენტრში — მიცვალებულის უჩვეულოდ მხიარული პორტრეტი. ფანჩატურში — საკუთრივ მიცვალებული, ას წელს კარგა გვარიანად გადაცილებული. ფანჩატურის წინ — შავი სატინის ნაჭრით შუბლ და ზურგშესულდრული თვალბრუნებელი მოზვერი. აივნის სვეტზე — ხმის გამძლიერებელი, აივანზე — სასულე ორკესტრი, ეზოში — რალატის მოლოდინით აღსავსე ხალხი. კოკისპირულად წვიმს!..

\* \* \*

- ღვინო სადაურია, თუ იცი?
- სულ ერთი არ არის?! შაქრიანი იქნება მაინც!
- ააა-აა-აა!.. მე შაქრიანს ვერ დავლევ!



- შენმა მზემ, ვერ დალევ!.. წავალ, აბა, ახლა და თბილისიდან ჩამოგიტან ქინძმარაულს!
- ჩამოიქცა ზეცა!.. წამო, თავი სუფრას შევაფაროთ!
- ჯერ რომ არავინ გვეძახის?!
- წამო, შე კაცო, ქორწილი ხომ არ არის, რად გინდა პატიჟი?
- მოიცა, რა სული მიგდის, ჯერ ის ხალხი არ გამოსულა, ხომ არ წამოაგდებ სუფრიდან?!

\* \* \*

- ვილაც 'მეგარი პოვარი ჩამოუყვანიათ ქალაქიდან!..
- ისეთი ლობიო შეუკაზმავს, სულ ფრჩხილებს ჩაიკენეტ თურმე!
- მარფათიანი კაცი კია ჩვენი ვარლამი!
- რამდენი შემოუვა, თუ იცი?
- ათზე ნაკლები არ იქნება!

- აბა, უყიდა „ვოლგა“ და ეგაა!
- ათი ბუტგურიას შემოუვიდა, შე კაცო, ვარლამას კი კაი ძალი ნათესაობა ჰყავს. ვერ უყურებ, სასევა ხალხი?!
- საწყალი სიდონია რომ გარდაიცვალა, ათი მაშინ შემოუვიდა, დგამ-ავევიც მაშინ შეიძინა!
- კი, კი, საჭირო კაცია და ამიტომაც ამოუდგენ მხარში ასე!..
- შენ რამდენი ჩამოყატე?
- კინის ვეცხე ხუთი თუმანი. რა მექნა, ბებიარქემის გასვენებაზე ვარლამმა ხუთი თუმანი მომიტანა. ვალს გადახდა უნდა!
- აბა, დღეს შენ ხუთი თუმნის ლობიო და ბრინჯის ფაფა უნდა გადასანსლო, ძმაო!
- დაილუპეთ იქით! საჭმელად კი არ მოგსულვარ აქ! ისე, კაცმა რომ თქვას, ქე მომშივდა!
- სად ზის მოლარე?
- უკანა ოთახში!

სასულე ორკესტრი სამკლოვიარო მარშს ასრულებს მაჟორული ინტონაციით. სეფიდან გამოსული გამომთვრალი მამაკაცები გულაჩუყებულნი უსმენენ!..

### სურათი მეორე

ორსს მეტრზე გაჭიმული სეფა. სუფრაზე — ჩაყვებული ღვინო, ლობიო, მაკარონი, ქიშიშიანი ბრინჯი, მყავე პამიდორი და კიტრი, თონეში გამომცხვარი ლავაში, საგანგებოდ ნაშოვი სუფრის რეკვიზიტი. მაგიდებშუა — ტალახში ახელილი ნახერხი...  
გახარებული სახეებით ციბრუტივით ტრიალებენ თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის თეთრინისაფრიაანი გოგო-ბიჭები. სუფრას უზის თვალგაფაციცებული ხალხი. თამადა არჩეულია. სუფრა თავისი კლამოტი მიდის. ისმის დანა-ჩანჯლის სასიამოვნო რანკარუნკი. პირველი სადღეგრძელო მალალ რეგისტრში იწყება.

\* \* \*

- კაი კაცი იყო, ცხონებული!
- კი, სმა-ჭამა უყვარდა!
- რამდენი ჭიქა დაიბარა?
- თექვსმეტი!
- ასე ცოტას რავა დაიბარებდა, შე კაცო?!
- ვკითხოთ თამადას!
- ღენტორ პორფილოვიჩ, რამდენი დაიბარა ცხონებულმა?
- ოცდაოთხი! და ვინც ყველას არ დალევს, ამ ოჯახსა და მიცვალებულის თბილ ცხედარს დაადგამს ფეხს!
- კაი, აბა, მიყვი შენებურად მაშინ! სეფაში სადღეგრძელოები გრძელდება. ელექტროგანათება ძალაში შედის. სუფრა ხმაურობს. მიცვალებული არავის ახსოვს. თამადა ენამზეობს, მაგრამ არავინ უსმენს. აქა-იქ შეიმჩნევა სიმღერის ნამონწყების გაუბედავი ცდები. მადგახსნი.

ლი მექელეხები ეშში არიან შესულა. სუფრაზე შეფობს საზეიმო განწყობილება. მოტკბო-მომავო ღვინოთ სასევა ჭიქა ჭიქაზე იცლება!..

გაბრიელ ბეგლიაშვილი

— ნუ მისაკდი მაგ ლობიოს, მტრის ოჯახში ხომ არა ხარ?  
— უყურე ამას, რას მიბედავს?!  
— რას გიბედავ, შე მათხოვარო, შენა! კაპიკი არ შემოგიტანია და იტენები ინდოურივით!  
ისმის ჭურჭლის მტრევის ხმა, შვიდსართულიანი გინება. შაქრში ტრიალებს მაკარონით სასევა თეფშები...  
აივანზე ორკესტრი საზეიმო მარშს ასრულებს.  
მუსიკალური თემა — სიცოცხლე გრძელდება!..  
ჩამოლამდა. დაღმა-დაღმა ფიორ-ფიორით მიაქანებენ კუბოს. სასაფლაომდე შედარებით მშვიდობიანად მიადნის: ცხე-დარი მხოლოდ სამჯერ გადმოუვარდათ კუბოდან!.. ბოლოს, დიდი ბჭობისა და დავის შემდეგ, საწყალი მიცვალებული თავისი მეუღლის გვერდით დამარხეს. მე-საფლავეებმა საფლავი მიახსნორ-მოახსნორეს და სულმოუთქმელად დაბრუნდნენ შინ.

ელექტრონით გაჩახახახებულ ორლობეებში მოისმის მთვრალი მამაკაცების არეულ-დარეული სიმღერა და ძაღლების გულისგამანვრილებელი ნკავნკავი!..

\* \* \*

ხანგრძლივი დაკვირვებით მივიდა ასეთ დასკვნაზე: კერძომესაკუთრული ტენდენციებით გატაცება და მიცვალებულის მამასისხლად გაყიდვა რომ არ დაგვანამონ, ქელეხის მეორე დღეს თავი რომ არ გეცხედებოდეს და მუცლის გვრემა არ გვეკონდეს, ამისათვის საჭიროა ქელეხზე პურ-მარილის (ე. ი. მენიუს) ძირფესვიანად შეცვლა.

შემომავს რაციონალიზატორული წინადადება: ქელეხზე შემოსული ფული მთლიანად დაიხარჯოს! აუცილებელია, ლობიოს, მაკარონისა და ქიშიშიანი ბრინჯის ნაცვლად, საქელეხო სუფრაზე დავანავაფოთ კვეცი ხაჭაპური, ღვიად მოხარული ბურვაკის ნეკები, ზუთხი, ლოქო, სათალი, ნითელი და შავი ხიხილადა, მებოლილი შაში, ღვეღში ამორუჯული მჭადის კვერი, მხალეული, მწნილეული, „ცოცხალი“, ტკბილეული, საცივი (ნიგვზიანი ხარჩოც შვიძლება), თათარიანხი, კუჭმაჭი, ჩახოხბილი, ხოს მწვადი, სუკი, შამფურზე შებრანული ვარიები, ბოზბაში, ყაურმა, ლომი, სულგუნი, ელარჯი... მეორე დილით, „პახმელიაზე“ ხაშლამა, ხაჭო, თოხლო კვერცი, „ბორჯომი“, ფეხიხას კომპოტი, კამეჩის განურული მანოლი, პეპსიკოლა, ჩეხური ლუდი...

ვფიქრობთ, ამით დაიწყება ახალი ეტაპი ლეგალურ მექელეხობაში!

რამაზ კუპრაშვილი  
ილუსტრაციები  
ზ. შორჩინძისა



ნ.ბ. მ. აბაშიძისა



უსიტყვოდ

გალის ხისდამმუშავებელ კომბინატს, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ობიექტია, 1986 წელს 300 ათასი მანეთი გამოეყო, რათა მთავარი კორპუსი — სადურგლო სახელოსნო აეშენებინა. სამშენებლო სამუშაოთა წარმოება დაევალა „საქაგრომშენის“ მშენებელ ტრესტს. მშენებლები საქმეს დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ, მაგრამ რატომღაც მათი ენთუზიაზმი ნაადრევი თრთვილივით უმალ გაქრა — შესრულდა მხოლოდ სამი ათასი მანეთის სამუშაოები. და მას შემდეგ მშენებლები ობიექტზე აღარ გამოჩნებულან, თუმცა რაღაც გამორჩედიბოდნენ, როცა ნაკისრი ვალდებულების შესრულებლობისათვის მათთვის ბუჯიც არავის აუფრენია! არადა, ხისდამმუშავებელ კომბინატს მთავარი კორპუსი ჰაერივით სჭირდებოდა!..

რაკი კომბინატის ხელმძღვანელობა დარწმუნდა, რომ მშენებელთა იმედი ფუჭი იყო, ზემდგომ ორგანოებს სთხოვა უფლება დაერთოთ, მშენებლობა სამეურნეო ანგარიშით ეწარმოებინათ. დასტური რომ მიიღეს, კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა, როგორც იტყვიან, მკლავები დაიკაპინეს და საქმეს ერთგულად შეუდგნენ. ნაგებობა კი აღმართეს, მაგრამ დანადგარების და-მონტაჟებას, ვენტილაციის, ელექტროგაყვანილობის, საშხაპეების გაპართვას, წყლისა და გათბობის სამუშაოების წარმოებას ხომ სპეციალისტები სჭირდება!..

— ნუ სწუხართ, ამ საქმეში ხელს ჩვენ გაგიმართავთ! — იმედიანი სიტყვა შეაშველეს გალის ხისდამმუშავებელი კომბინატის ხელმძღვანელობას „საქაგრომშენის“ მესვეურებმა და ამ სამუშაოთა შესრულება სამტრედიის მე-16 ტრესტს დააკისრეს. სამტრედიელ მშენებლებს ეს სამუშაოები 1987 წელს უნდა დაესრულებინათ, თუმცა სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო პირობა ვერ გაანადღეს — სამუშაოთა დასრულება 1988 წლის პირველი კვარტალის ბოლომდე გადაუვადეს. განვლო პირველმა კვარტალმა, მეორემ და მესამემაც, მაგრამ შარშან მე-16 ტრესტის მშენებლებმა 100 ათასი მანეთის სამუშაოებიდან მხოლოდ 4 ათასი მანეთისა შეასრულეს!..

სანამ გაგრძელდება საქმისადმი ამგვარი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, ვინ მოუღებს მას ბოლოს?

სხვათა შორის „საქაგრომშენის“ მესვეურები გალის ხისდამმუშავებელ კომბინატს რომ ისე უცქერიან, როგორც ავი დედი-ნაცვალი საქლველ გერს, ერთი ფაქტიდანაც კარგად ჩანს:

კომბინატს შორეულ ციმბირში სატყეო მრეწველობის მეურნეობა აქვს, რომლის მიერ დამზადებული მერქანი გალემებს საგანგებოდ გამოყოფილი ჩიხიდან ეგზავნებათ. იქ ვაგონების შეუფერხებელი დატვირთვისათვის საჭიროა კოშკურა ამწე. სათანადო შეთანხმების ნიადაგზე ეს კოშკურა ამწე „აგრომშენს“ კომბინატისთვის ჯერ კიდევ 1985 წელს უნდა გამოეყო. შეთანხმება შეთანხმებდად დარჩა და თუმცა გალემები თხოვნასა და საჩივარს ზედიზედ გზავნიან სხვადასხვა ზემდგომ ინსტანციაში — გვიშველეთ, გაჭირვებიდან გვისხენით, კოშკურა ამწეების გარეშე ჩვენი არსებობა და მუშაობა შეუძლებელიაო, — გამკითხავი არავინ ჩანს — მათთვის კოშკურა ამწის გამოყოფას საშველი მაინც არ დაადგა! კომბინატს ადგილზედაც სჭირდება ექვსი ახალი კოშკურა ამწე, რადგან ისინი, რომლებიც აქვს, დაძველებულია და ჩამოსანერი!.. ყოველივე ამის გამო ჭიანჭურ-დება ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვა, მერქნის დახარისხება... მოგახსენებათ, რკინიგზა ვაგონების მოცდენას არავის აპატიებს და მან უკანასკნელი სამი წლის მანძილზე გალელ ხისდამმუშავებლებს 36 ათასი მანეთი ჯარიმა გადაახდევინა! დიანხ, 36 ათასი მანეთი ვაგონების მოცდენისათვის და ეს იმის გამო, რომ ჩვენთან ჯერ კიდევ არხეინად გრძობენ თავს ბოუროკრატები!

## წკიპურტები

### მლიქვნელი

ან — ძალიან სულელი, ან გიჟია უცილოდ! — ყველაფერზე ხელმძღვანელს როგორ უნდა უცინოს?!

### ამგოჯან

სიგარეტში თივა დევსო, მაგრამ მაინც ივარგებსო!

### კარიკრისტი

ერთი — ყველასათვის, ყველა — ერთისთვის? —

სიცლით კვდება კარიერისტი!..

### სკამქაცა

- სკამზე ზის და
- სკამზე წევა,
- სკამზე ტამს და
- სკამზე მღერის,
- სკამზე წერს და
- სკამზე ხატავს
- სკამით არის ბედნიერი!

### ჯურაბ მაგულაუვილი

ნოდარ ხუნდაძე,  
„ნიანგის“ კორესპონდენტი.



3.8

უსიტყვოდ

# გახსოვს?

## საახალწლო პაროდია

**ხელისუფლებით** სწორია პენსიონერ ბეგლარ ნ-ს სამოთახიანი ბინის იატაკი და, თქვენ წარმოიდგინეთ, კერიც. სასტუმრო ოთახის ერთი კუთხე საახალწლოდ მორთულ ნაძვის ხეს უჭირავს. სუფრაც გაწყობილია ორისათვის. ბეგლარი ჩართულ ტელევიზორთან ზის და თავს აკანტურებს. ეკატერინესაც ჩასძინებია და თუმცა დეკემბრის 31-ის მიწურულს ბუზები ჩვენში აღარაა, ჩვეულებით ძილში იგერიებს მათ.

საათის ისარი 12-ს უახლოვდება.

— ქალო! — მოქანარებითა და ზომრებით შესძახა ბეგლარმა, — გეყოფა ამდენი ძილი. დაგეკვებება!.. ეკატერინემ თავი ასწია.

— რა ვქნა, აბა?! შვილსა და შვილიშვილს მე არ ვუცდი!.. შენ რა გიჭირს, კაცი ხარ და... სიზმარი მინც არ დამსიზმრებოდა... — სიტყვებით კი არა, თვალებით ეთხრა ქმარს.

— რა დაგესიზმრა აწი! — ასევე უპასუხა მანაც.

— კი არ დამსიზმრებია, ძილში მომაგონდა, რაც გადახდა... პირველად რომ გაგიცანი ზღვაზე. შენ აღრე ჩასულიყავი და პირშავად გამოიყურებოდი, გახსოვს?..

— როგორ არა!..

— აჯიროთბდით თვალებს პლაჟზე შენ და, ძილი მიაკვდა სულში, საწყალი პეტრე! იმან გაგვაცნო ერთმანეთი!..

— მახსოვს, მახსოვს!.. შენი ეზოთ არ გზოგავდი მამაჩემის ჯიბეს. ნამეტანი გინდებოდა ტეკვა საღამოობით ღია მოედნებზე, გახსოვს?

— რავა არა, რავა არა! იქვე მოვაწერეთ ხელი და მშობლებისთვის არც გაგვიგებინებია, საძებნი გავუხდით მერე!.. შენ მეტყუველ დაიწყე მუშაობა. მანქანა რომ მიყიდე და აგინირდნენ, რა სახსრებითო, — ხით, ხით, ხითო, — რომ გადაიხიოთიოთე პასუხად. გახსოვს? მერე ფერმის გამგეობაც იყისრე და იქაც შემოგიჩინდნენ,

ძროხები ბერწად რატომ არიანო. რა ვქნა, მაშვლად ხომ ვერ დავეუდგებო, რომ უპასუხე, გახსოვს?

— უ-უ-უ, შენი რჯულიც არ იყოს!.. ხან რიოხი არ მოგწონდა, ხან — ქალაქი. ვადამიტანა შენმა თრევამ. ცოლი კაცისთვის ერთგვარი სათვალეა, მაგრამ თუ შენი ნომრის არ შეგხვდა, მტრისას! — დაგივებს თვალებს!.. რომ მეჩიჩინებოდი, მიპყევი ამ ცხოვრებას, სადაც მიგიყვანსო, გახსოვს? ე, სადაც მიგიყვანა! მიულოცე ახლა ახალი წელი ნაძვის ხეს... ხელოვნურს!..

— ე-ე-ე!.. ცხოვრება გრძელი გზა ყოფილა. გგონია, ამ მთას გადაივლი, გაივაცებ და დაისვენებ, მაგრამ კიდევ გამორჩდება ახალი მთა და ასე შემდეგ. ახლა რომ ვამოქანარებ, მაშინაც ბავშვზე ვფიქრობ, მაგრამ რაღა დროს!.. მეზობლის გოგოს ბედს რომ დახარბდი და იძახოდი, ასეთი და ასეთი სიძე მინდა, ჩემმა ნაშვილებმაც მანქანიანი სიძე უნდა მომაყენოსო, გახსოვს?

— როგორ არა, მაგრამ ნაშვილები გაიპარა, შოფერს გაჰყვა და მართლაც მანქანიანი სიძე მოგვაყენა. როგორ უმღეროდა სიძე პატარძალს: მაკოცნიე ერთი, გაკოცნიებ ორსა, ზესტაფონლები ვართ, შენცა და მეცაო!.. გახსოვს? მერე როგორ გვეხუმრებოდნენ შინაურები, მეზობლები, — კაცი რომ დაესიძება, მიიღებს თუ არა უშრომელ შემოსავალსო, — გახსოვს? ჩვენ კი სერიოზულად მივიღეთ და შეიქნა მიწვევა, მოწვევა... ჩვენც ავღდექით და სამუდამოდ მივეუხურეთ კარი სულელებმა!..

— ადამიანი ტირილით იბადება და სიცილით უნდა იცხოვროს! გვეყოფა ახლა!..

უსიტყვოდ მუსსაფში საათმა კარგა ხანია დარეკა თორმეტი, ბებრებს კი ქიქის აწვევაც ეზარებათ. მოგონებთა ბურუსში გახვეულნი ჩუმად სხედან და ძნელი გამოსაცნობია, თვლემენ თუ გაქვავებულან.

სოსო მახარაშვილი  
(ქ. ს ა ჩ ხ ე რ ე)





საბინისა და იუმირის  
შარხალი „ნიანისი“  
№ 1 (1779). იანვარი.  
გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

### მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

აგთანდილ ადგიშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
ქაბუა ამირეჯიბი, ნოზაძე  
ბარათაია, ბორის გურგუ-  
ლია, რევაზ თვარაძე, ჭე-  
მალ ლოლუა, ნოდარ მა-  
ლაზონია (მხატვარ-რედაქ-  
ტორი), ალექსანდრე სამ-  
ხონია, ბეჟან ხიზარულიძე  
(მთავარი რედაქტორის მო-  
ადგილე), ჯანსუღ ჩარკვაია-  
ნი, თამაზ წიგწავაძე, ნა-  
ფი ჭუსოთია.

ტექნიკური რედაქტორი  
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად  
2. 12. 88 წ. ხელმოწერი-  
ლია დასაბეჭდად 4. 01.  
89 წ. ქალაქის ზომა  
60 X 90<sup>1</sup>/<sub>8</sub>, ფიზიკური ნაბე-  
ჭდი ფურცელი 1,5. სააღ-  
რიცხვო-საგამომცემლო თა-  
ბახი 1,9. საქართველოს კ-  
ცის გამომცემლო მ ბ ა,  
უნიონის 14. შეკვ. 3030.  
ლენ 04601 ტირაჟი 130.000  
ეურნალი გამოდის თვეში  
ორჯერ. რედაქციაში შემო-  
სული მასალები ავტორებს  
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მიხმართა: 880008.  
თბილისი-ში, რუსთაველის  
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი  
რედაქტორის — 99-55-54,  
მთ. რედ. მოადგილის —  
93-19-42, პ/მ მდივნის —  
93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
ტორის — 99-02-38, გან-  
ყოფილებათა გამგეების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
მულაგების — 99-02-38,  
მდივან-მემაწიანის —  
99-76-69.

Сатирико - юмористиче-  
ский журнал «НИАН-  
ГИ» (На грузинском  
языке). Тбилиси, пр. Ру-  
ставели № 42. Изда-  
тельство ЦК КП Грузии,  
Ордена Трудового Крас-  
ного Знамени типогра-  
фия издательства ЦК  
КП Грузии, Тбилиси,  
улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.  
რედაქცია 76137

**სასულა** ორკესტრის რეპეტიციამზე  
დირიჟორმა შენიშვნა მისცა მუსიკოსებს:  
— მეორე მესაყვირე არასწორად იღებს  
ნოტს!

— ის ჯერ არ მოსულა!—უპასუხა ერთ-  
ერთმა ორკესტრანტმა.

— კარგი!.. როცა მოვა, მაშინ უთხარით  
ამის შესახებ.

— **პატარა**, რამდენ ჯერ უნდა გი-  
თხრა, რომ უზრდელ ბავშვებთან ნუ თა-  
მაშობ! ხომ არიან ზრდილობიანი და თა-  
ვაზიანი ბავშვებიც?!

— სამაგიეროდ მათ არ უშვებენ ჩემ-  
თან სათამაშოდ!

**შოტლანდიელი** სტადიონის სა-  
ლაროსთან მივიდა და მოლარეს ორმოც-  
დაათი პენსი გაუნოდა. მან თანხას რომ  
დახდა, უთხრა:

— ბილეთი ერთი ფუნტი ღირს!  
— მე მხოლოდ შოტლანდიის ნაკრების  
საყურებლად მოვედი!

— **რა** ღირს თქვენს სასტუმროში  
ერთი ღამის გათევა?  
— ოთხმოცი კრონი!

— მე მხოლოდ სამოცდათხუთმეტი კრო-  
ნი მაქვს. იქნებ შეძლოთ ხუთი კრონით  
ადრე გამაღვიძოთ?

— **ქალბატონო**, გუშინ თქვენი სი-  
მღერა მესმოდა. საკმაოდ სასიამოვნო ხმა  
გქონიათ!

— არა, ბატონო! მე მხოლოდ დროის  
მოკვლის მიზნით ვმღეროდი..

— მაშინ რატომ იქცევით ისე, თქვენი  
დანაშაული მთელმა უბანმა გაიგოს?

— **ალე**, რამდენი ხანია ჩემი სა-  
ხურავიდან ჟონავს, თქვენ კი თავს არ  
ინუხებთ, რომ შეაკეთოთ! კიდევ დიდხანს  
გაგრძელდება ასე?

— დარეკეთ 27-1151  
— ეს თქვენი უფროსის ტელეფონია?  
— არა, მეტეოროლოგიური სადგუ-  
რისა!

### მეზოგელი კარზე აკაკუნებს.

— რობერტ, ჩვენ ახალი მანქანა ვიყი-  
დეთ, იქნებ ცოტაოდენი პური გვასესხო?

**ფოტოკორესპონდენტი** მზის ჩასვ-  
ლის კადრს იღებდა. ამ დროს მასთან პა-  
ტარა ბიჭმა მიიბრინა და ეუბნება:

— ბიძია, ვილაც ისრჩობა!..  
— მაპატიე, მაგრამ ფირი აღარ მაქვს!

— **პენრი**, რატომ გაქანდი ლიანდა-  
გებისკენ?

— თავის მოკვლა მინდოდა და ფოლ-  
დინგიდან მომავალ მატარებელს ვუც-  
დიდი..

— მაშინ მესამე ლიანდაგზე უნდა გა-  
დახვიდე, აქ მხოლოდ ოდენის მატარე-  
ბელი დგება!

— **სახლშია** თქვენი და?

— უნდა იყოს!.. ტელეფონის ყურმილი  
ჯერ კიდევ გახურებულია!

— **ახალი** სათვალე შეგიძინია, ალ-  
ბათ უფრო უკეთ ხედავთ! ასეა, ხომ?

— ცხადია! ხალხს, რომელსაც საერთოდ  
ვერ ვამჩნევდი, ახლა პირდაპირ ვეჯა-  
ხები!..

**მალაზიის** გამყიდველი ეკითხება  
პატარა პერს:

— ნამდვილად დარწმუნებული ხარ,  
რომ შენ იმისათვის გამოგზავნეს, რათა  
4 კილო კანფეტი და 200 გრამი კარტო-  
ფილი გყვიდა?

— **ჯეკ**, მოხარული ვარ, რომ,  
ბოლოს და ბოლოს, თქვენ და თქვენი მე-  
ულლე შერიგდით!

— ნურას უკაცრავად! ჩვენ აღარასო-  
დეს აღარ შევრიგდებით, ეს არ მოხდება!  
— აკი მე თვითონ ვხედავდი, როგორ  
ხერხავდით და აპობდით შემას ეზოში?!

— თქვენ შეცდით... ჩვენ მხოლოდ ავეჯს  
ვინანილებდით!

— **რამდენი** გრამია კილოგრამ-  
ში? — ეკითხება მალაზიის გამგე დამნ-  
ებებთანამშრომელს.

— რვაასი... ხუთასი!..  
— შესანიშნავია! ხვალვე შემიძლია გა-  
გაფორმოთ!

**შოტლანდიელი** ეუბნება თავის მე-  
გობარს:

— შენზე ამბობენ, ცოლს აღარ ეყრე-  
ბაო! მართალია?

— მე, უბრალოდ, სხვა გამოსავალი არა  
მაქვს: იგი ისე გასუქდა, რომ ნიშნობის  
ბეჭედს ვეღარ მიბრუნებს!..

**ორი პროვინციელი** პირველად  
მგზავრობდა ლონდონის ორსართულიანი  
ავტობუსით. ერთი მათგანი ავიდა მეორე  
სართულზე და იმავე ნუთში უკან ჩამო-  
ვიდა გაოგნებული სახით.

— ჯიბე, ზევით არ ახვიდე, იქ მძღოლი  
არ ზის!

— **ჩემი** ცოლი არასოდეს არაფერს  
არ მეკითხება!

— ჩემიც ასეა, სულ მუდამ მბრძანებ-  
ლობს!

— **ელზა**, როგორც კი უარს მეტ-  
ყვი, იმ ნუთში მატარებელს ქვეშ შევუ-  
ვარდები!..

— მაცალიე, რომ მოვიფიქრო!.. შემდეგი  
მატარებელი მაინც დილით შემოდის!..

— **რატომ** ხარ დაბლერელი? — ეკი-  
თხება სტუდენტი თანაკურსელს.

— მშობლებს მივწერე, სახელმძღვანე-  
ლოებისთვის ფული გამოეგზავნათ, მათ  
კი წიგნები გამომიგზავნეს!..

**ქიმიმა** გასინჯა მძიმე ავადმყოფი  
და ურჩია სრული სიმეფიდე და სინყნარე,  
მაგრამ ავადმყოფის ცოლი ყოველ ნუთში  
ფუსფუსებდა, არ ასვენებდა და გაუთა-  
ვებლად ლაპარაკობდა. ექიმიმა წასვლისას  
ძილის წამალი დაუტოვა.

— როდის მივცე ეს ტაბლეტები? — იკი-  
თხა ცოლმა.

— მას კი არა, თქვენ დაგიტოვეთ. ჩაყ-  
ლაპეთ და მაშინვე ჩაგეძინებათ!

თარგმნა მანანა ჩოკოშვილმა

